

კლიმატის ცვლილება უკვე ნაგაბიურად აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობაზე – პროექტის ექსპერტების შეხვედრები ადგილობრივ მთავრობებთან და ფარმერებთან



ოქტომბრის შემდგომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში პროექტის ექსპერტები ატარებენ შეხვედრებს შერჩეული რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და ფერმერებთან.

შეხვედრების მიზანია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა, აგრეთვე, კონსულტაციების ჩატარება იმ თემებთან, სადაც კლიმატის ცვლილებას ყველაზე დიდი გავლენა აქვს ეკოსისტემებზე. განხილვის მთავარი საგანია სოფლის მეურნეობაში არსებული ვითარება, მომგებიანი საქმიანობები, გავრცელებული ჭიშები, კლიმატის ცვლილებისადმი შესაძლო საადაპტაციო ზომები და ადგილობრივი ფერმერების ცოდნის დონე კლიმატის ცვლილების აგრობიომრავალფეროვნებაზე გავლენის შესახებ.

შეხვედრების შედეგად გამოვლინდა ადგილობრივი ხელისუფლების და თემების ინფორმირებულობის დაბალი დონე აგრობიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილება უკვე ნეგატიურად აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობაზე, იწვევს ვეგეტაციის პერიოდის ცვლილებებს და ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო მავნებლების გავრცელებაზე, ადგილობრივ ფერმერებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია სამომავლო შედეგების შესახებ. ეს მაგალითი მეტყველებს პროექტის ფარგლებში ცნობიერების ამაღლებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების აუცილებლობაზე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დადებითად იქნა შეფასებული პროექტის იდეა და მათ გამოხატეს თანამშრომლობის სურვილი. მათ ხაზი გაუსვეს პროექტის ღონისძიებების სოციალურ-ეკონომიკურ დატვირთვას და პროექტის ექსპერტებს მიაწოდეს მნიშვნელოვანი რჩევები მოწყვლადი თემების შერჩევისა და შესაძლო საადაპტაციო ღონისძიებების განსაზღვრისათვის.

ამ ეტაპზე, პროექტის ექსპერტები სამივე ქვეყნიდან აგრძელებენ შესაბამისი კონსულტაციების ჩატარებასა და სავლელ კვლევებს, რათა შეირჩეს ყველაზე მოწყვლადი თემები და საპილოტე საადაპტაციო ღონისძიებები.

ექსპერტთა საკოორდინაციო შეხვედრა

2011 წლის 13 დეკემბერს გერმანულ სახლში, თბილისში, პროექტის ფარგლებში ჩატარდა ექსპერტთა რეგიონული საკოორდინაციო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ ექსპერტთა ჯგუფების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ექსპერტები და ეკოლოგები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნიდან.

ექსპერტთა გუნდის ხელმძღვანელებმა მიმოიხილეს პროექტის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები. ეროვნულმა ექსპერტებმა წარმოადგინეს კვლევებისა და სავლელ ინვენტარიზაციების ძირითადი შედეგები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მცენარეთა სხვადასხვა სახეობები შეიძლება იყოს პრიორიტეტული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მაგალითად აზერბაიჯანსა და საქართველოში შეირჩა მარცვლოვნები და გაზი, ხოლო სომხეთში ყურადღება დაეთმო ველურ მონათესავე სახეობებს. პრიორიტეტული მცენარეების შერჩევისას მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურების აზრის გათვალისწინება - შერჩეული სახეობები უნდა იყოს მნიშვნელოვანი რეგიონის სოფლის მეურნეობისთვის. დამსწრეებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს ადგილობრივი ფერმერებისაგან მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობას, რომლებიც უშუალოდ აკვირდებიან მიმდინარე ცვლილებებს.

ეროვნული ექსპერტების შემდეგ, საერთაშორისო ექსპერტმა წარმოადგინა მოწყვლადობის შეფასების, ინდიკატორი სახეობების შერჩევისა და საადაპტაციო ღონისძიებების შერჩევის შესაძლო მეთოდები.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ საადაპტაციო ზომები მიზნად უნდა ისახავდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, თუმცა ველური სახეობები შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც კლიმატის ცვლილების ინდიკატორები.

ქვეყნებმა განიხილეს მდგომარეობები და მეთოდები კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად და მომავლის სცენარების შესამუშავებლად.

შეხვედრის ბოლოს, რეკომენდაციები გაკეთდა შემდგომი თანამშრომლობის, აგრეთვე სამივე ქვეყნის ექსპერტთა ცოდნის, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, რაზეც დიდად არის დამოკიდებული პროექტის წარმატებული განხორციელება.



პროექტი აგრობიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილების შესახებ

1 თებერვალი 2012



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

BMZ Federal Ministry for Economic Cooperation and Development



სარჩევი

- ▶ აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაცია კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პირობებში
- ▶ დაინტერესებულ მხარეთა პირველი რეგიონული კონფერენცია
- ▶ ეროვნული საზღვარგარეთული კომიტეტების შეხვედრებზე სამივე ქვეყანაში საპილოტე რეგიონების შერჩევის კრიტერიუმებზე შეთანხმდნენ
- ▶ საკონსულტაციო შეხვედრა ექსპერტებთან საქართველოში
- ▶ კლიმატის ცვლილება უკვე ნეგატიურად აისახება სასოფლო-სამეურნეო - პროდუქტიულობაზე პროექტის ექსპერტების შეხვედრები ადგილობრივ მთავრობებთან და ფერმერებთან
- ▶ ექსპერტთა საკოორდინაციო შეხვედრა



აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაცია კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პირობებში

კავკასიის რეგიონი გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო ჯიშებისა და მათი ველური ფორმების დიდი მრავალფეროვნებით. არსებული აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი თემების კეთილდღეობისათვის, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კლიმატის ცვლილებების პირობებში. კლიმატის ცვლილების გამო მოსალოდნელია აგრობიომრავალფეროვნების შემცირება არიდულ და სემი-არიდულ ეკოსისტემებში, რომელთა მოწყვლადობაც კლიმატის ცვლილების მიმართ დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით.

პროექტი ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების კონტექსტში აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების პოლიტიკის შემუშავებას, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, აგრეთვე, განახორციელებს საპილოტე ღონისძიებებს შერჩეულ თემებში მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვისათვის აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილების რისკების შემცირების მიზნით.

პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით მოწყვლად არიდულ და სემი-არიდულ ეკოსისტემებში კლიმატის ცვლილების ზეგავლენისადმი საადაპტაციო შესაძლებლობების განვითარება, აგრობიომრავალფეროვნებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის საარსებო წყაროს შენარჩუნებისათვის.

მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- არიდულ და სემი-არიდულ ეკოსისტემებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ძირითადი საფრთხეების დადგენა, აგრო რესურსების მოწყვლადობის შეფასება და საპილოტე პროექტების განხორციელება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.
- პოლიტიკის, ადგილობრივი / რეგიონული სტრატეგიებისა და გეგმების ანალიზი და ხარვეზების გამოვლენა კლიმატის ცვლილების რისკების ასახვის კუთხით. კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ზომების განსაზღვრა და მათი ჩართვა ადგილობრივი განვითარების გეგმებში.
- საინფორმაციო კამპანიები ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად კლიმატის ცვლილების საკითხებსა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობის თაობაზე. სკოლის მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და კლიმატის ცვლილების საჯარო მონიტორინგის სისტემის დანერგვა.
- არსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება ეროვნული/ადგილობრივი განვითარების პოლიტიკასა და სტრატეგიებში აგრობიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის საკითხების ასახვის თვალსაზრისით და ტრენინგების ჩატარება შესაძლებლობების განვითარებისათვის.

პროექტი არის რეგიონული და ხორციელდება კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) მიერ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის თანადაფინანსებელია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). პროექტი გაგრძელდება სამი წლის განმავლობაში (2011-2014).



საინფორმაციო ბიულეტენი დაიბეჭდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში წარმოდგენილ მასალაზე პასუხისმგებელია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი და ის არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას.

პროექტი აგრობიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილების შესახებ



დაინტერესებულ მხარეთა პირვალი რეგიონული კონფერენცია



2011 წლის 1 ივლისს პროექტის ფარგლებში ჩატარდა პირველი რეგიონული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო დაინტერესებულ პირთათვის პროექტის მიზნებისა და შედეგების გაცნობა, პროექტის ღონისძიებების ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობისა და განხორციელების საკითხების განხილვა და წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება.

რეგიონულ კონფერენციას ესწრებოდა 40-ზე მეტი მონაწილე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნიდან. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, დაინტერესებულმა პირებმა აკადემიური სექტორიდან, აგრეთვე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს ქვეყნებში არსებული მონაცემები აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე კლიმატის ცვლილებისადმი განხორციელებული და მიმდინარე საადაპტაციო ღონისძიებები.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რეგიონული ინიციატივების შესახებ. ქალბატონმა დარეჯან კაპანაძემ (მსოფლიო ბანკი) დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დაგეგმილი კვლევის შესახებ. ქალბატონმა



ნინო ანთაძემ (UNDP) დამსწრეებს გაუზიარა კლიმატის ცვლილების შესახებ ახლად დასრულებული რეგიონული კვლევის შედეგები. ბატონმა მალხაზ ძნელაძემ (WWF Caucasus) წარმოადგინა კლიმატის ცვლილების შემცირებაზე ორიენტირებული რეგიონული პროექტის მიზნები.

კონფერენციაზე განხილული ძირითადი საკითხები ეხებოდა ტერმინთა განმარტებებს, საპილოტე ტერიტორიების შესარჩევად კრიტერიუმების განსაზღვრასა და კავშირების დადგენას, თუ რამდენად შესაბამეხა პროექტის ღონისძიებები მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შეხვედრაზე ხაზგასმული იყო ადგილობრივი გენეტიკური რესურსებისა და ჯიშების დაცვის აუცილებლობა, აგრეთვე თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მეთოდების კომბინირება ტრადიციულ პრაქტიკებთან.

დამსწრეები შეთანხმდნენ რეგიონული შერჩევის კრიტერიუმების შემუშავებაზე სამიზნე ეკოსისტემებისა და თემების დასადგენად, ასევე ტერმინოლოგიაზე. ხაზი გაესვა ერთნაირი მეთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობას მონაცემების შეფასებისათვის, რათა მიღებული იქნეს სანდო და ურთიერთშედარებადი მონაცემები. კონფერენციის ბოლოს დამტკიცდა პროექტის განახლებული სამუშაო გეგმა.

ეროვნული საგადასხვავლო კომიტეტების შეხვედრებზე სამივე ქვეყანაში საპილოტე რეგიონების შერჩევის კრიტერიუმებზე შეთანხმდნენ

პროექტის განხორციელების გამჭვირვალობისა და ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან მისი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ჩამოყალიბდა სახედასხვადელო კომიტეტები, რომელთა წევრებიც არიან გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა შესაბამისი სამინისტროების, ეროვნული პარლამენტების, კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სახედასხვადელო კომიტეტები მეთვალყურეობას უწევენ პროექტის მიმდინარეობას და აძლევენ ზოგად რჩევებს განმანხორციელებელ ჯგუფს.

სექტემბრის შემდგომ, RECC-ის ოფისებმა აზერბაიჯანსა და სომხეთში და აგრეთვე თბილისში ჩაატარეს სახედასხვადელო კომიტეტის შეხვედრები, რომლებზეც

განხილვებოდა პროექტის მიზნები, ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები, სამუშაო გეგმა და რეგიონული კრიტერიუმები საპილოტე ტერიტორიების დასადგენად.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად სამივე ქვეყანაში სახედასხვადელო კომიტეტების მიერ მიღებული იქნა რეგიონული კრიტერიუმები. ასევე შეირჩა პროექტის განხორციელების სავარაუდო ტერიტორიები - არარატისა და ვაიოცის რაიონები სომხეთში, გობუსტანის, შამახისა და აგსუს რაიონები აზერბაიჯანში. მონაცემების შეფასებებსა და სიღრმისეულ ანალიზებზე დაყრდნობით გამოვლინდება მოწყვლადი თემები, სადაც განისაზღვრება და



განხორციელდება საპილოტე საადაპტაციო ღონისძიებები.

სახედასხვადელო კომიტეტების შეხვედრებისას აღინიშნებოდა სამ ქვეყანას შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა. რეკომენდირებული იქნა, რომ პროექტი განხორციელდეს მიმდინარე ეროვნულ და რეგიონულ პროექტებთან მჭიდრო კოორდინაციით. აღინიშნა, რომ ეს არის ამჟამად რეგიონში მიმდინარე ერთადერთი პროექტი, რომელიც ორიენტირებულია აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, შესაბამისად მისი შედეგები გავლენას იქონიებს კლიმატის ცვლილებისადმი საადაპტაციო პროგრამების ინვესტირებაზე.

სახედასხვადელო კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტის გავლენის გასაძლიერებლად აუცილებელია ინტენსიური კონსულტაციები მთავრობებთან და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება. როგორც ევროკავშირის მხრიდან პროექტის მენეჯერმა ბატონმა მიშელ ჟამბომ აღნიშნა, პროექტის ერთ-ერთი მიზანია პოლიტიკასა და საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და შესაბამისი გარემოს შექმნის ხელშეწყობა. ამისათვის პროექტმა სამთავრობო სტრუქტურებს უნდა მიაწოდოს კვლევებზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაში.



საკონსულტაციო შეხვედრა ექსპერტებთან საქართველოში

გორის, გარდაბნის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები იქნა შერჩეული აგრობიომრავალფეროვნების მონაცემების შეფასების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრისას, რომელიც ჩატარდა თბილისში 2011 წლის 18 ოქტომბერს. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტების, ჰიდრომეტეოროლოგიისა და მინათმექმედების ინსტიტუტების, აგროეკოლოგიური საზოგადოების, აგრარული უნივერსიტეტის, WWF-ის კავკასიის პროგრამული ოფისისა და ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები. ექსპერტების მიერ აგრეთვე რეკომენდირებული იქნა, რომ პროექტის კვლევები ფოკუსირებული იქნეს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტულ სახეობებზე, კერძოდ ხორბალსა და ვაზზე და განსაკუთრებით ადგილობრივ ჯიშებზე. ასევე, უნდა შეფასდეს კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე ფორმები, როგორც აგრობიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ექსპერტთა აზრით კლიმატის ცვლილების ზეგავლენის გამოსავლენად მნიშვნელოვანი იქნება ბუნებრივი ფონის (ბუნებრივ მცენარეულ საფარში მიმდინარე ცვლილებების) გამოკვლევა.

